პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის -- ივნისი ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე „მეზღვაურთა სკვერი“-ს სახელწოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N64 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ქალაქ ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 05.21.21.017) მიენიჭოს სკვერის სტატუსი და ეწოდოს „მეზღვაურთა სკვერი“-ს სახელი.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30), მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე ,,მეზღვაურის სკვერის" სახელწოდების მინიჭების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტისა და ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N64 დადგენილების შესაბამისად, ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ #05.21.21.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, ქ.ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის სკვერის სტატუსი და მასზე მეზღვაურის სკვერის სახელწოდების მინიჭება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე ,,მეზღვაურის სკვერის" სახელწოდების მინიჭება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობა

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ვ) პროექტის ინიციატორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი პატარიძე

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**05.21.21.017**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882019165389**	ფართობი:	**6353 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)** **6348 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)**
მომზადების თარიღი:	**01/04/2019**		



05/25 მშენებარე ნაგებობა	05/25 შენობა/ნაგებობა	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	ხაზობრივი ნაგებობა	ვალდებულება

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.21.21.017

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882019165389 - 06/03/2019 13:33:15	01/04/2019 17:34:13

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ბათუმი	სექტორი 21		
05	21	21	017

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 6348.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა გოგებაშვილი , მიმდებარედ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019165389 , თარიღი 06/03/2019 13:33:15
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/04/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N227 , დამოწმების თარიღი:25/02/2019 , ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

მესაკუთრეები:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:245576826

მესაკუთრე:	აღწერა:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	

იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აუტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის
საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. ბათუმი 2019 წლის 10 მაისი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა მიმდინარე წლის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი შემდეგი საკითხები:

1. ქალაქ ბათუმში ყაზბეგის ქ. N21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ წულუკიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

2. ქ. ბათუმში გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიისთვის სკვერის სტატუსის და მასზე ,,მეზღვაურის სკვერის" სახელწოდების მინიჭების შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია რიგით პირველი საკითხის (ქალაქ ბათუმში ყაზბეგის ქ. N21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ჯემალ წულუკიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი) განხილვა საკრებულოს სხდომაზე. ხოლო, რიგით მეორე საკითხი (ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე ,,მეზღვაურის სკვერის" სახელწოდების მინიჭების შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებ-ლად გადაეცემა მას შემდეგ, რაც კომისია, საქართველოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ოიბიეტქების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისგან ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით მიიღებს დადებით პასუხს.

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი პატარიძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

2709-01-2-201906041223

N 01/2709
04/06/2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისთვის გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე თქვენს მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გიგზავნით ამონაწერს ამავე კომისიის 2019 წლის 31 მაისის N16 სხდომის ოქმიდან.

დანართი: 1 გვერდი

პატივისცემით,

გრიგოლ კაცია

მინისტრის მოადგილე - მ.შ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემოსული № 11/236
"04" ივნისი 2019 წ.

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12. Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის
ოქმი N16- დან

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ქ.თბილისი 31 მაისი, 2019 წელი

ესწრებოდენ: ილია ბეგიაშვილი, ნიკოლოზ როსებაშვილი, მიხეილ გვათუა, პაატა ჯიოშვილი, გიორგი დიდიძე, ნინო შეყრილაძე, თეა ტეტელოშვილი, ნინო ბახია. კომისიის 14 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8. სხდომა უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწვეტილებები.

სხდომის თავმჯდომარე: ილია ბეგიაშვილი

სხდომის მდივანი: მიხეილ გვათუა

საკითხი N1 მოისმინეს: ილია ბეგიაშვილმა დამსწრეებს მოახსენა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ქალაქ ბათუმში იაკობ გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ 6350 კვადრატულ მეტრ არასასოფლო დანიშნულების მიწას მიანიჭა სკვერის სტატუსი და თხოვნით მომართა კომისიას მისთვის „მეზღვაურის სკვერის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ. ამასთან, სრულად წარმოადგინა „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესით“ განსაზღვრული დოკუმენტაცია.

აზრი გამოთქვეს: ნიკოლოზ როსებაშვილმა, ნინო შეყრილაძემ, მიხეილ გვათუამ.

ჩატარდა კენჭისყრა. შედეგები: მომხრე-8, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: მიეცეს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა ქალაქ ბათუმში ქალაქ ბათუმში იაკობ გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისათვის „მეზღვაურის სკვერის“ სახელის მინიჭების შესახებ.

ამონაწერის სისწორეს დედანთან ვადასტურებ,

კომისიის მდივანი მიხეილ გვათუა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011774414141919

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

164500

14 / მაისი / 2019 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს

ბატონო სულიკო,

2019 წლის 13 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი N342-12 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო რეესტრის ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირდა N212819 განცხადება, რომელსაც თან ერთვის თქვენს მომართვებზე თანდართული დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ბ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
შემოსული № 11/958
„15" მაისი 2019 წ.

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY

KA020123468274919

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 10/352 **26 / თებერვალი / 2019 წ.**

ქალაქ ბათუმის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

უპირველეს ყოვლისა მსურს ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტორს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სახელით გამოვხატო ღრმა პატივისცემა პირადად თქვენი და ქ. ბათუმის მერიის წინაშე.

რომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) გადაწყვეტილებით 2011 წლიდან 25 ივნისს აღინიშნება მეზღვაურთა საერთაშორისო დღე. საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა, 2011 წლიდან ყოველწლიურად აღნიშნავს მეზღვაურთა საერთაშორისო დღეს სხვადასხვა ღონისძიებებით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის საზღვაო ინდუსტრიის განვითარებასა და პროფესია მეზღვაურის პოპულარიზაციისთვის.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ძალისხმევას არ იშურებს ამ დარგის განსავითარებლად და მისი ცნობადობის ასამაღლებლად. სააგენტოს ორგანიზებით ყოველწლიურად საზეიმოდ აღინიშნება მეზღვაურის დღე და არც წლევანდელი წელი იქნება გამონაკლისი. თუმცა მასშტაბი ბევრად დიდია, რადგან საზეიმო ღონისძიებები თითქმის მთლიანად მოიცავს ბათუმის ცენტრალურ ნაწილს. ასევე, აღსანიშნია რომ 25 ივნისის პერიოდი ტურისტულად აქტიური სეზონს ემთხვევა, სადაც დამსვენელებს, ქალაქის სტუმრებს და უბრალო ბათუმლებს მიეცემათ საშუალება გაეცნონ ამ დღეს წარმოდგენილ კომპანიებს. ზემოხსენებულ ღონისძიების ორგანიზებაში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან ერთად ჩართულია აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი და ბათუმის ბულვარის ადმინისტრაცია.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ბათუმის საზღვაო ნავსადგური ყოველთვის იყო და იქნება მეზღვაურებისთვის ყველაზე საყვარელი თავშეყრის ადგილი. აქედან გამომდინარე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო გამოდის ინიციატივით, 25 ივნისს საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნას მეზღვაურის სახელობის სკვერი.

ყოველვე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, მეზღვაურის სახელობის სკვერისთვის გამოგვიყოთ ადგილი ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე გაგვიწიოთ დახმარება ზემოაღნიშნული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზებაში, რათა ერთიანი ძალისხმევით მაღალ დონეზე ჩავატაროთ მეზღვაურის საერთაშორისო დღე.

ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვხატავ მზაობას ჩვენი შემდგომი მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

თამარ იოსელიანი

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო
საინჟინრო სასწავლებელი
ანრი
ს/კ 245539403

მფ-02-№001-08-03.01.12

Batumi High Maritime Engineering School
ANRI, LLC
Id/c 245539403

our ref.№ 0645 from 14.05.2019

**ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს**

ბატონო სულიკო,

2015 წლის 14 ივლისს შპსს ანრიმ და „მეზღვაურთა კლუბმა" წერილით მიმართა ქალაქ ბათუმის საკრებულოს, ახალი ბულვარის იმ მონაკვეთს, სადაც ამ ორგანიზაციების ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით 3000 ლარის ნარგავები გაშენდა, მიენიჭოს „მეზღვაურთა ხეივნის" სახელი.
მეზღვაურთა ხეივნის წარმოშობას ბულვარში აქვს ორი მნიშვნელოვანი მოტივი:
ქალაქში გაჩნდება ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება გამოჩენილი ქართველი მეზღვაურების ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმბოლიკის განთავსება მათი სახელის უკვდავსაყოფად.
საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია ავალდებულებს ყველა საპორტო ქალაქს ამ პროფესიის ადამიანებს ჰქონდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. ამით შესაძლებელი გახდება აღდგეს ბათუმის ტრადიცია, როგორც საზღვაო განათლების და მეზღვაურთა პროფესიული ქალაქის, ხოლო მეზღვაურებს გაუჩნდებათ დამატებითი მოტივაცია, წვლილი შეიტანონ საკუთარი ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
ბათუმის საკრებულომ თავის მხრივ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენებისა და დაცვის მიზნით 2015 წლის 14 დეკემბერს ქ .ათუმის საკრებულოს განკარგულების პროექტი გადაუგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედმა სამთავრობო კომისიამ 2015 წლის 23 დეკემბერს განიხილა პროექტი და საკრებულოს საკითხთა დაზუსტება მოსთხოვა.
2016 წლის 25 მარტს საკრებულომ კომისიას გაუგზავნა წერილი, სადაც დააზუსტა თავისი პოზიცია ხეივნის სახელდებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მონაკვეთის სახელდება არ ითვალისწინებს მის გამოყოფას ბულვარის საერთო ტერიტორიიდან და ადმინისტრირებისგან.
ჩვენ კიდევ ერთხელ ვაკონკრეტებთ ჩვენს პოზიციას და განვმარტავთ, რომ ჩვენს მიერ განაშენიანებული მცირე მონაკვეთისთვის მეზღვაურთა ხეივნის წოდება არის მხოლოდ პატივის მიგების სურვილი ამ პროფესიის წარჩინებული წარმომადგენლებისთვის და ადგილის წარმოშობა ბულვარის ტერიტორიაზე, სადაც ღვაწლმოსილი მეზღვაურების სახელების უკვდავყოფა იქნება შესაძლებელი. ამ ინიციატივაში აბსოლუტურად გამოირიცხება მეზღვაურთა ხეივნის ცალკე ობიექტად რეგისტრირება და ის დარჩება ერთიანი ბულვარის განუყოფელ ნაწილად.
გთხოვთ, კიდევ ერთხელ განიხილოთ ჩვენი ინიციატივა და გვიშუამდგომლოთ შესაბამის კომისიასთან, რათა ერთის მხრივ აღვადგინოთ ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქის ტრადიცია და მეორეს მხრივ, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნის თანახმად ქალაქში შევქმნათ მეზღვაურთა თავშეყრის საზოგადოებრივი ადგილი.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი **ანზორ დიასამიძე**

ISO 9001

IQNet

ქ.ბათუმი 6010, შალვა ინასარიძის ქ.№29; №29, Shalva Inasaridze Str., 6010 Batumi, Georgia
Tel: +995 579 234499; +995 579 799944; Tel:/Fax +995 422 244422
E-mail: info@mtc-anri.edu.ge www.mtc-anri.edu.ge

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემოსული № 11/255
14 " მაისი, 2019 წ.

საჯარო
რეესტრი

ზედდებაა 050121006ა ზე, დაუზუსტებელ კოდზე(მერია)

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:	05 21 21 017
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:	882019165389
მიწის ნაკვეთის ფართობი:	6353 კვ.მ.
დანიშნულება:	
მომზადების თარიღი:	07.03.19



01/2	შენიბა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა		ეკლდებულება		ხაზობრივი ნაგებობა
	მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		მშენებარე ნაგებობა	UTM	(საერთაშორისო) ხისტემის კოორდ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის
საკითხთა კომისია

N 391-12
27/05/2019

391-12-2-201905271524

ბატონ ანზორ დიასამიძეს
შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის"
გენერალურ დირექტორს
ქ.ბათუმი, შ.ხიმშიაშვილის ქ.11/4

ბატონო ანზორ,

თქვენი, 2019 წლის 14 მაისის N0645 (საკრებულოს ნომრით N11/255) კორესპონდენციის პასუხად მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 10 მაისს საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაზე განხილულ იქნა ქ. ბათუმში გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიისთვის სკვერის სტატუსისა და მასზედ მეზღვაურის სკვერის სახელწოდების მინიჭების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინიციატივა. გაცნობებთ, რომ კომისიის მიერ მოწონებულ იქნა აღნშნული ინიციატივა, რომელიც შესათანხმებლად გადაეგზავნა საქართველოს რეგიონალური განვითარების ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიქტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას. ამ უკანასკნელის დასტურის შემთხვევაში საკითხი ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე ,,მეზღვაურის სკვერის" სახელწოდების მინიჭების შესახებ განხილულ იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. რაც შეეხება უშუალოდ ახალი ბულვარის ტერიტორიაზე კონკრეტული ადგილისთვის მეზღვაურთა ხეივნის ჩამოყალიბებას, როგორც მოგეხსენებათ, გამომდინარე იქედან, რომ მეზღავაურთა ხეივანი არ ყალიბდება ცალკე გეოგრაფიულ ობიექტად, არ საჭიროებს სამთავრობო კომისიის თანხმობას და შესაბამისად, არც საკრებულოს გადაწყვეტილებას. მოცემულ სიტუაციაში, ბულვარის ერთ-ერთი მონაკვეთისთვის „მეზღვაურთა ხეივნის" სახელის მინიჭება წარმოადგენს მხოლოდ სიმბოლურ აქტს, რომლის მიღებაც შესაძლებელია თქვენი სასწავლებლისა და ბულვარის ადმინისტრაციის შეთანხმების საფუძველზე.

პატივისცემით,

ირაკლი პატარიძე

6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
Batumi. L. Asatiani st. 25
ტელ: +995 (422) 27 90 08.
Tel: +995 (422) 27 90 08. E-mail: N.Beradze@batumicc.ge

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA

SAKREBULO OF BATUMI CITY
MUNICIPALITY

N 365-12
16/05/2019

365-12-2-201905161700

საქართველოს რეგიონალური განვითარების
ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს,
გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა
დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების,
აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული
ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი
სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეს

შესათანხმებლად გიგზავნით ,,ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე ,,მეზღვაურის სკვერის" სახელწოდების მინიჭების შესახებ" (საკადასტრო კოდი N05.21.21.017) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად. გაცნობებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო რეესტრის ელექტრონულ პროგრამაში ჩვენი განაცხადის რეგისტრაციის ნომერია N212819.

გთხოვთ, განიხილოთ საკითხი და მოგვცეთ თანხმობა.

დანართი: 12 ფურცელი.

პატივისცემით,

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
Batumi. L. Asatiani st. 25

ტელ: +995 (422) 27 90 01. ფაქსი: +995 (422) 27 01 96
Tel: +995 (422) 27 90 01. Fax: +995 (422) 27 01 96
E-mail: info@batumicc.ge

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/7168
18/04/2019

7168-25-2-201904181025

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და
სპორტის საკითხთა კომისიის თავჯდომარეს
ბატონ ირაკლი პატარიძეს

ბატონო ირაკლი,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილული იქნა თქვენი 2019 წლის 18 მარტის №196-12 (№8384/25; 25.03.2019) წერილი, რომელიც ეხება მეზღვაურის სახელობის სკვერის მოწყობის მიზნით, ქ. ბათუმში საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამოყოფას.

საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული 6348,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.21.21.017) ნაწილზე მოეწყოს მეზღვაურთა სახელობის სკვერი.

დანართი: „02" ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

6010, ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010, №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26, fax: + 995 (422) 27 26 01, E-mail: info@batumi.ge

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
შემოსავალი № 11/199
18 " აპრილი, 2019 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/9731
16/05/2019

9731-25-2-201905161115

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ სულიკო თებიძეს

ასლი: შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო
სასწავლებელი „ანრი"-ს გენერალურ
დირექტორს ბატონ ანზორ დიასამიძეს

(ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N29)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გეგზავნებათ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი"-ს წერილი (13693/25; 14.05.2019წ).

დანართი: „ 1" ფურცელი პირველ ადრესატს

პატივისცემით,

თენგიზ პეტრიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/მ

6010, ლუკა ასათიანის ქ. N 25. ტელ: 0 (422) 27 26 26, ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010 №25, Luka Asatiani str., ph. + 995 (422) 27 26 26 fax: + 995 (422) 27 26 01 E-mail: info@batumi.ge

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
შემოსული № 11/263
„16" მაისი 2019 წ.

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო
საინჟინრო სასწავლებელი
ანრი
ს/კ 245539403

Batumi High Maritime Engineering School
ANRI, LLC
Id/c 245539403

მგ-02-№001-08-03.01.12

our ref.№ 0644 from 14.05.2019

ქ.ბათუმის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

2015 წლის 14 ივლისს ბუსსს ანრიმ და „მეზღვაურთა კლუბმა" წერილით მიმართა ქალაქ ბათუმის საკრებულოს, ახალი ბულვარის იმ მონაკვეთს, სადაც ამ ორგანიზაციების ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით 3000 ლარის ნარგავები გაშენდა, მიენიჭოს „მეზღვაურთა ხეივნის" სახელი.
მეზღვაურთა ხეივნის წარმოშობას ბულვარში აქვს ორი მნიშვნელოვანი მოტივი:
ქალაქში გაჩნდება ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება გამოჩენილი ქართველი მეზღვაურების ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმბოლიკის განთავსება მათი სახელის უკვდავსაყოფად.
საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია ავალდებულებს ყველა საპორტო ქალაქს ამ პროფესიის ადამიანებს ჰქონდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. ამით შესაძლებელი გახდება აღდგეს ბათუმის ტრადიცია, როგორც საზღვაო განათლების და მეზღვაურთა პროფესიული ქალაქის, ხოლო მეზღვაურებს გაუჩნდებათ დამატებითი მოტივაცია, წვლილი შეიტანონ საკუთარი ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
ბათუმის საკრებულომ თავის მხრივ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენებისა და დაცვის მიზნით 2015 წლის 14 დეკემბერს ქ .ათუმის საკრებულოს განკარგულების პროექტი გადაუგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედმა სამთავრობო კომისიამ 2015 წლის 23 დეკემბერს განიხილა პროექტი და საკრებულოს საკითხთა დაზუსტება მოსთხოვა.
2016 წლის 25 მარტს საკრებულომ კომისიას გაუგზავნა წერილი, სადაც დააზუსტა თავისი პოზიცია ხეივნის სახელდებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მონაკვეთის სახელდება არ ითვალისწინებს მის გამოყოფას ბულვარის საერთო ტერიტორიიდან და ადმინისტრირებისგან.
ჩვენ კიდევ ერთხელ ვაკონკრეტებთ ჩვენს პოზიციას და განვმარტავთ, რომ ჩვენს მიერ განაშენიანებული მცირე მონაკვეთისთვის მეზღვაურთა ხეივნის წოდება არის მხოლოდ პატივის მიგების სურვილი ამ პროფესიის წარჩინებული წარმომადგენლებისთვის და ადგილის წარმოშობა ბულვარის ტერიტორიაზე, სადაც ღვაწლმოსილი მეზღვაურების სახელების უკვდავყოფა იქნება შესაძლებელი. ამ ინიციატივაში აბსოლუტურად გამოირიცხება მეზღვაურთა ხეივნის ცალკე ობიექტად რეგისტრირება და ის დარჩება ერთიანი ბულვარის განუყოფელ ნაწილად.
გთხოვთ, კიდევ ერთხელ განიხილოთ ჩვენი ინიციატივა და გვიშუამდგომლოთ შესაბამის კომისიასთან, რათა ერთის მხრივ აღვადგინოთ ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქის ტრადიცია და მეორეს მხრივ, საერთასორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნის თანახმად ქალაქში შევქმნათ მეზღვაურთა თავშეყრის საზოგადოებრივი ადგილი.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ანზორ დიასამიძე

13693/25
14 05 2019 წ.

ქ.ბათუმი 6010, შალვა ინასარიძის ქ.№29; №29, Shalva Inasaridze Str., 6010 Batumi, Georgia
Tel: +995 579 234499; +995 579 799944; Tel:/Fax +995 422 244422
E-mail: info@mtc-anri.edu.ge www.mtc-anri.edu.ge